

№40 2013 წლის 21 თებერვალი ქ. თბილისი

**„საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“
საქართველოს კანონით გათვალისწინებული „სახელმწიფო
სასწავლო, სამაგისტრო**

**გრანტების, დოქტორანტურის პროგრამებისა და ახალგაზრდების წახალისების პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან
პროგრამა „ცოდნის კარის“ დამტკიცების შესახებ**

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის საჭირო მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების, საქართველოს მოქალაქეთა ან პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელთა მიერ უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებში და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების ან აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უწყების სპეციალური საკონკურსო კომისიისათვის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დიპლომირებული მედიკოსის/ სტომატოლოგის, დოქტორანტურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე

სწავლის ხელშეწყობის მიზნით, „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე:

მუხლი 1. „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტების, დოქტორანტურის პროგრამებისა და ახალგაზრდების წახალისების პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან (პროგრამული კოდი: 32 04 04) დამტკიცდეს პროგრამა „ცოდნის კარი“ თანდართული რედაქციით.

მუხლი 2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს „პროგრამა „ცოდნის კარის“ ფარგლებში 2013 წლის 1 იანვრამდე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ზიბინა ივანიშვილი

დანართი

**„საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“
საქართველოს კანონით გათვალისწინებული „სახელმწიფო
სასწავლო, სამაგისტრო გრანტების, დოქტორანტურის
პროგრამებისა და ახალგაზრდების წახალისების პროგრამის“
ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან პროგრამა „ცოდნის კარი“**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე დანართი განსაზღვრავს „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტების, დოქტორანტურის პროგრამებისა და ახალგაზრდების წახალისების პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან პროგრამა „ცოდნის კარის“ განხორციელების წესსა და პირობებს.

მუხლი 2. პროგრამა „ცოდნის კარი“

1. პროგრამა „ცოდნის კარი“ ხელს უწყობს:

- ა) ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის საჭირო მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას;
- ბ) საქართველოს მოქალაქეთა ან პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელთა მიერ უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების მიღებას;
- გ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების ან აღმასრულებელი

ხელისუფლების შესაბამისი უწყების სპეციალური საკონკურსო კომისიისათვის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, დოქტორანტურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლას.

2. პროგრამა ცოდნის კარი მოიცავს სამ ქვეპროგრამას:

ა) „სამაგისტრო და სადოქტორო ქვეპროგრამა“ – ითვალისწინებს სპეციალური საკონკურსო კომისიის მიერ პრიორიტეტულად გამოცხადებულ უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხულ იმ პირთა დაფინანსებას და სწავლის ხელშეწყობას, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ დანართისა და სპეციალური საკონკურსო კომისიის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპების მოთხოვნებს;

ბ) „ნიჭიერი, გამორჩეული უნარ-ჩვევებისა და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე პირთა საგანმანათლებლო ქვეპროგრამა“ - ითვალისწინებს ქვეყნისათვის საჭირო მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას და იმ პირთა დაფინანსებას, რომელთაც ჩაბარებული აქვთ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე, არიან სხვადასხვა საერთაშორისო თუ ეროვნული სასწავლო ღონისძიებებისა თუ კონკურსების გამარჯვებულები, რაც სამომავლოდ ხელს უწყობს სხვადასხვა სფეროთა განვითარებასა და წინსვლას და აკმაყოფილებენ ამ დანართისა და სპეციალური

საკონკურსო კომისიის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპების მოთხოვნებს;

გ) „საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობის ქვეპროგრამა“ - ითვალისწინებს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების ან აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უწყების მიერ სპეციალური საკონკურსო კომისიისათვის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, დოქტორანტურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის ხელშეწყობას.

მუხლი 3. პროგრამა „ცოდნის კარის“ ქვეპროგრამების მიზნები

1. „სამაგისტრო და სადოქტორო ქვეპროგრამის“ მიზანს წარმოადგენს უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხული ამ დანართის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების დაფინანსება.

2. „ნიჭიერი, გამორჩეული უნარ ჩვევებისა და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე პირთა საგანმანათლებლო ქვეპროგრამის“ მიზანს წარმოადგენს:

ა) განსაკუთრებით ნიჭიერი და მაღალი შეფასების მქონე პირების უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის ხელშეწყობა;

ბ) პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელთათვის საზღვარგარეთ სწავლაში ხელშეწყობა.

3. „საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ მიზანს წარმოადგენს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების ან აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უწყების სპეციალური საკონკურსო კომისიისათვის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, დოქტორანტურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლისა და სწავლის პერიოდში საქართველოში ცხოვრებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება.

მუხლი 4. პროგრამა „ცოდნის კარის“ ქვეპროგრამების ბენეფიციარები

1. „სამაგისტრო და სადოქტორო ქვეპროგრამის“ ბენეფიციარია საქართველოს მოქალაქე, პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელი:

ა) რომელსაც მოპოვებული აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ჩარიცხულია უცხოეთის შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამაგისტრო პროგრამაზე, ასაკი არ აღემატება 35 წელს და რომლის:

ა.ა) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებული შეფასებების საშუალო მაჩვენებელი არანაკლებია შესაბამისი შეფასების სისტემის მიხედვით განსაზღვრული მაქსიმალური შეფასების 80%-ისა, უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში სწავლის პირველი სემესტრის დაწყებამდე დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში;

ა.ბ) უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მაგისტრატურაში სწავლისას მიღებული შეფასების საშუალო მაჩვენებელი არანაკლებია შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედი შეფასების სისტემის მიხედვით განსაზღვრული მაქსიმალური შეფასების 80%-ისა, უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში სწავლის პირველი სემესტრის დასრულების შემდგომ დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში;

ბ) რომელიც ჩარიცხულია უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სადოქტორო პროგრამაზე და მოპოვებული აქვს ნაწილობრივი დაფინანსება მინიმუმ 50%-ის ოდენობით.

2. „ნიჭიერი, გამორჩეული უნარ ჩვევებისა და სწავლის მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე პირთა საგანმანათლებლო ქვეპროგრამის“ ბენეფიციარია საქართველოს მოქალაქე, პირადობის ნეიტრალური მოწმობისა ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელი, რომელიც არის სხვადასხვა საერთაშორისო თუ ეროვნული სასწავლო ღონისძიებებისა თუ კონკურსების გამარჯვებული, ჩაბარებული აქვს უცხოეთის უმაღლეს

საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე და რომლის:

ა) ზოგადი განათლების დამამთავრებელ კლასში მიღებული შეფასებების საშუალო მაჩვენებელი არანაკლებია შესაბამისი შეფასების სისტემის მიხედვით განსაზღვრული მაქსიმალური შეფასების 80%-ისა, უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატში სწავლის პირველი სემესტრის დაწყებამდე დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში;

ბ) უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატში სწავლისას მიღებული შეფასების საშუალო მაჩვენებელი არანაკლებია შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედი შეფასების სისტემის მიხედვით განსაზღვრული მაქსიმალური შეფასების 80%-ისა, უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატში სწავლის პირველი სემესტრის დასრულების შემდგომ დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში.

3. „საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ბენეფიციარია უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების ან აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უწყების სპეციალური საკონკურსო კომისიისათვის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე ჩაირიცხებიან საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, დოქტორანტურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

მუხლი 5. პროგრამა „ცოდნის კარის“ ფარგლებში შერჩეული კანდიდატისათვის გამოსაყოფი დაფინანსების გაცემის წესი

1. პროგრამა „ცოდნის კარის“ ფარგლებში შერჩეული კანდიდატისათვის გამოსაყოფი დაფინანსება გაიცემა შემდეგი წესით:

ა) პროგრამა „ცოდნის კარის“ ფარგლებში შერჩეული კანდიდატისათვის გამოსაყოფი დაფინანსება სრულად ან ნაწილობრივ ფარავს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრის, მაგისტრის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, ან დოქტორის აკადემიური ხარისხის მიღების მიზნით სწავლისა და სწავლის პერიოდში საქართველოში/უცხოეთში ცხოვრებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული:

ბ.ა) სწავლის ხარჯები მოიცავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დაწესებულ სწავლის საფასურს;

ბ.ბ) სწავლის პერიოდში საქართველოში/უცხოეთში ცხოვრებასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს:

ბ.ბ.ა) მგზავრობის ხარჯებს;

ბ.ბ.ბ) კვების ხარჯებს;

ბ.ბ.გ) საცხოვრებელი ფართის ქირავნობასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

ბ.გ) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს:

ბ.გ.ა) პრაქტიკის გავლის ხარჯებს;

ბ.გ.ბ) მგზავრობის ხარჯებს თუ პრაქტიკის გავლა მოითხოვს იმ

ქალაქის/ქვეყნის დატოვებას სადაც მდებარეობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;

ბ.გ.გ) საცხოვრებელი ფართის ქირავნობასთან დაკავშირებულ ხარჯებს, თუ პრაქტიკის გავლა მოითხოვს იმ ქალაქის/ქვეყნის დატოვებას სადაც მდებარეობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;

გ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ კანდიდატებთან ამ დანართით გათვალისწინებული წესით გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე უზრუნველყოს მათთვის გამოყოფილი დაფინანსების გადარიცხვა კანდიდატის ან/და საგანმანათლებლო დაწესებულების ანგარიშზე, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მითითებული პერიოდულობით - სრულად ან ნაწილ-ნაწილ.

2. ამ დანართის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული, პროგრამა „ცოდნის კარის“ ფარგლებში დაფინანსებული პირი ვალდებულია უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის განმავლობაში, პირველი სასწავლო წლის შემდგომ მიიღოს შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედი შეფასების სისტემის მიხედვით განსაზღვრული მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 80%.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შეუსრულებლობა წარმოადგენს ხელშეკრულების შეწყვეტისა და მომავალში პროგრამა „ცოდნის კარის“ ფარგლებში დაფინანსების მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველს.

მუხლი 6. სპეციალური საკონკურსო კომისიის შექმნა

1. შეიქმნას სპეციალური საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) დავით ზურაბიშვილი – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ნატო ჯავახიშვილი – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის მდივანი;

გ) დავით ჯანდიერი – საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე;

დ) გიორგი ხელაია – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე;

ე) დავით ლეჟავა – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე;

ვ) დავით შერვაშიძე – საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე;

ზ) მანანა ბერიკაშვილი – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე;

თ) სულხან სისაური – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი;

2. კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღება ეთხოვით:

ა) ეკა ფოფხაძეს – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორს;

ბ) ნინო ჩინჩალაძეს – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ აღმასრულებელ დირექტორს;

გ) ვაჟა სალამაძეს – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ფონდი სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის დირექტორს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კომისიის მდივანი კომისიის სხდომაში მონაწილეობს სათათბირო ხმის უფლებით.

მუხლი 7. სპეციალური საკონკურსო კომისიის უფლებამოსილება

სპეციალური საკონკურსო კომისია:

ა) შეიმუშავებს სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლის საფუძველზეც შეირჩევა „ცოდნის კარის“ პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი კანდიდატები;

ბ) შეარჩევს კანდიდატებს „ცოდნის კარის“ პროგრამის ფარგლებში;

გ) განსაზღვრავს შერჩეული კანდიდატებისათვის გამოსაყოფი დაფინანსების ოდენობას;

დ) იღებს გადაწყვეტილებას „ცოდნის კარის“ პროგრამის ფარგლებში შერჩეული კანდიდატებისათვის დაფინანსების გამოყოფისა და ხელშეკრულების გაფორმების შესახებ;

ე) განსაზღვრავს პრიორიტეტული უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებების ნუსხას.

მუხლი 8. „ცოდნის კარის“ პროგრამის განხორციელებაში ტექნიკური დახმარების გაწევა

ამ დანართის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ სპეციალურ საკონკურსო კომისიას ტექნიკურ დახმარებას უწევს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროგრამების დეპარტამენტი, რომელიც:

ა) იღებს ყველა განაცხადს, რომელიც აკმაყოფილებს კანდიდატის შესარჩევ პირობებს და განსახილველად გადასცემს სპეციალურ საკონკურსო კომისიას;

ბ) კანდიდატს აწვდის ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია სასწავლო პროგრამასთან. ასევე კანდიდატს აცნობებს მის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის სრულყოფილებისა თუ ხარვეზების თაობაზე.

გ) ახორციელებს „ცოდნის კარის“ პროგრამის ფარგლებში შერჩეული კანდიდატების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს;

დ) იღებს ყველა ზომას პროგრამა „ცოდნის კარის“ ფარგლებში შერჩეული კანდიდატისათვის გამოსაყოფი დაფინანსების პირის ან/და საგანმანათლებლო დაწესებულების ანგარიშზე გადარიცხვის უზრუნველსაყოფად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილ ვადებში;

ე) სპეციალური საკონკურსო კომისიის მიერ ამ დანართის მე-7 მუხლის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე დებს ხელშეკრულებებს „ცოდნის კარის“ პროგრამის ფარგლებში

სპეციალური საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეულ კანდიდატებთან.

მუხლი 9. პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ საქართველოს მოქალაქეებისათვის გამოყოფილ კვოტებზე კანდიდატის შერჩევა

პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ საქართველოს მოქალაქეებისათვის გამოყოფილ კვოტებზე კანდიდატის შერჩევას აწარმოებს სპეციალური საკონკურსო კომისია. კომისიაზე შესაძლებელია პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელთა მოწვევა. კანდიდატების შერჩევა მოხდება წინასწარ განსაზღვრული, პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან შეთანხმებული ნიხრების საფუძველზე, მასში განსაზღვრული პირობებისა და გამოყოფილი კვოტების შესაბამისად.

მუხლი 10. დაფინანსების დაბრუნების წესი

1. კანდიდატის მიერ, სპეციალური საკონკურსო კომისიის მიერ გამოყოფილი დაფინანსების ხელშეკრულების მოქმედების ვადაში აუთვისებლობის შემთხვევაში, პირი კარგავს დაფინანსების გადარიცხვის მოთხოვნის უფლებას.
2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისას, ხელშეკრულებით განსაზღვრულ შემთხვევაში კანდიდატი ვალდებულია დააბრუნოს სპეციალური საკონკურსო კომისიის მიერ გამოყოფილი დაფინანსების ათვისებული ოდენობა.